# სახალხო გაზეთი

№ 755 ოთხშაბათი, 21 ნოემბერი 1912 წ. № 755

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში — მორსკაია 11, ვარშავაში — მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში — ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება. ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



პაპიროსები „გალლეია" და „კომეტა"

25 ც.—15 კ. 10 ც.—6 კ. ქ. ტფილისი. 1574


**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 23 ნოემბერს.**

**დღევანდელ ნომერს თან მისდევს ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის განცხადება. გაზეთში სულ 20 გვერდია.**

## ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ დღევანდელს ბანკის განცხადებაში, საჯარო ვაჭრობისათვის დანიშნულ მამულთა შორის, **შეცდომით არის** მოთავსებული მამული ჩვენი ბანკის მოვალის **ბ-ნ ალექსანდრე ნიკიტას ძის ჯაგეტიანცისა.**


**სახალხო გაზეთი** სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


**ანტონ ივანეს ძე და ელისაბედ დავითის ასული, ლიდია და ელენე ანტონის ასულნი, გიორგი და იოსებ ანტონის ძენი ნატროშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ უდროოდ გარდაცვალებას პირველნი—საყვარელის შვილის და მეორენი—ძმის, პირველ კლასიკურის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

### ილიკო ანტონის ძის ნატროშვილისას.

პანაშვიდი ოთხშაბათს, 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ლისაგორსკის ქუჩა, საკუთარი სახლი, 10. გამოსვენება 22 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 816

**კნ. სალომე პეტრეს ასული მაყაშვილისა, ძმები: ლუარსაბ და რევაზ გიორგის ძე მაყაშვილები, კნ. ნენე გიორგის ასული ერისთავისა, მარიამ გიორგის ასული გოგნიევისა, კნ. სარა გიორგის ასული ჩერქეზიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

### თ. სოლომონ გიორგის ძე მაყაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები დანიშნულია მიხაილოვის საავადმყოფოს სამლოცველოში, დღეს, 21 ნოემბერს 1 ს. და საღამოს 6 ს., გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 22 ნოემბერს დილის 10 ს., საიდანაც წაასვენებენ სოფ. იყალთოში (თელავის მაზრა). 32.

**დაიბეჭდა და იყიდება ახალი წიგნი**

### „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა,"

შედგენილი **თ-დ ს. მ. ჩოლოყაშვილის** მიერ,
გამოცემა **თ-დ დიმ. გრ. ჩოლოყაშვილისა.**

წიგნი შეიცავს 101 გვერდს, დასურათებულია 21 სურათით ღირს 30 კ., წიგნი ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში და ამავე საზოგადოების ქართლის და კახეთის აგრონომებთან. 819

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა,** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ** შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (გ:ინოვისქ. კუთხე). **ტელეფ. 7—82.** 777

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.
**შაბათს, 24 ნოემბერს,**
ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენ. იქნება:

### ქ-ნ ნ. ჯავახიშვილის საბენეფისოდ

**მ ე ო რ ე დ სრულიად ახალის მიზან-სცენებით**
ცნობილი ისტორიული პიესა ალ. სუმბათაშვილი-იუჟინისა **ღ ა ლ ა ტ ი,** დრამა 5 მოქ. თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
**ზეინაბის** როლს შეასრულებს ქ-ნი **ნ. ჯავახიშვილი.**
**ამ პიესისათვის დახატულია საგანგებოდ ახალი დეკორაციები მხატვარ გ. ნალებაშვილის** მიერ. ✦ **შეკერილია ახალი ტანისამოსი.** ✦
მონაწილეობენ: ქ-ნნი: გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.
**დასაწყისი საღ. 8 საათზე.** ადგილ. ფასი საბენეფისოა.
**ანონსი:** კვირას, 25 ნოემ. **დილით** წარ. იქნება „პატარა კახი". ისტორ. დრ. **აკაკისა.**
1578 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

### ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვრის

თანამდებობის აღმასრულებელი

სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ

**მობრძანდნენ** ამა წლის **23 დეკემბერს,** დილის 11 საათზე, **ქართულ თეატრის დარბაზში,**

### საგანგებო საგუბერნიო კრებაზე,

რათა აირჩიონ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა **წინამძღოლი,** დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა **წინამძღოლი** და გორის მაზრის თავად-აზნაურთა **დეპუტატი.** 1606


ქარხნის მარკა

კონიაკი და ლიქორი

ს. ს. შამრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570


## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძილენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**
**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**
**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—11.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხუნდაძე ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^1/_2$ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.<br>**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ხ.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$<br>**თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შესავათიანი საფასურით. წ. 1010.

### მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

### „ნ ა კ ა დ უ ლ"-ზე.

**წელიწადი მეცხრე.**

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ო რ ი გ ა მ ო ც ე მ ა:**

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს.

ხელის მოწერა მიიღება „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტ. 8, და აგენტებთან. 1591

**წელიწადი მეთხუთმეტე.**

### დამუნილ ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგე

### ს ა ნ დ ო,

### გიორგი მ. ჩივაძისა

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.** 1586

ადრესი — ქუთაისი მამია გურიელის ჩასახვევი, ფშაველის სახლი.

**შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:**

### ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლ ე ქ ს ი და ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი,**

(იგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფ ა ს ი 8 მ ა ნ ე თ ი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ✦ **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ✦ **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** ✦ **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** ✦ **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** 1153

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები.**

| | |
|---|---|
| ი. გოგებაშვილისა ბურჯი ეროვნებისა . . . . . 20 კ. | კრილოვის არაკები . . . 50 „ |
| „ რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები 1 მ. | კლდიაშვილის მოთხრობანი 30 „ |
| „ საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა . 10 კ. | ნაწყვეტები პოლ. ეკონომიიდან 50 „ |
| „ ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად . . 5 კ. | რუს.-ქართ. ლექსიკონი ჩუბ. 2 მ. 40 „ |
| „ Методическое руководство для учителей и учительниц 40 к. | რობინზონ კრუზო . . . 30 „ |
| გაბაშვილი ეკ. თხზულებანი 1 მ. 20 კ. | **ახლად მიღებული წიგნები:** |
| გულივერის მოგზაურობა . 30 „ | Къ Матеріаламъ по исторіи и древн. Грузіи и гос. Джанашв. —25 |
| ერისთავი რ. თხზულებანი წ. II 40 „ | Крестьянск вопросъ въ Закавказьѣ Авліяни . . 2—50 |
| თხზ. ვაჟა-ფშაველასი. . . 1 მ. — | О древне-грузинскихъ лѣтописцахъ XI стол. Какабадзе. 35 „ |
| ვეფხის ტყაოსანი . . . . 60 „ | Кавказскіе депутаты въ 3 еій Гос. Думѣ . . . . . . 50 „ |
| | შავი ქვა. წუწუნავასი. . . 10 „ |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

### ქართვ. ქალთა საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის წლიური საზოგ. კრება

დანიშნულია ქართ. სამეურნეო ბანკის დარბაზში **ოთხშაბ., 21 ნოემბერს,** დილის 12 ს. განსახილველია: საზოგადოების მოხსენება, წარსულ დროის ხარჯთ-აღრიცხვა და მისი დამტკიცება, დამტკიცება მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვისა, გამგეობის მართველობის წევრების არჩევა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. საზოგადოების წევრებად შესვლის მსურველთა დამტკიცება. 1609

### ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის წევრთა წლიური საზოგადო მე-2 კრება

დანიშნულია **25 ნოემბერს, ზუბალაშვილის** სახალხო სახლში, **დილის 11 ს.** განსახილველია: 1) წლიური ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა, 2) არჩევა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 1595

გამოსულია და იყიდება

# არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრიობა „ „ „ „ „ 80 „
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ 65 „
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 „

## საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის თაალობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ... ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. 1½ ს.

**ახვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

**ბოუროვსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ. შაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად ორშ., ოთხშ და პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი** —ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაშა,** ქირურგ. ავადმყ ყ. დღ., კვ. გარ და 1½ 2½ ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ ბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-ით.** 1013

**ექიმი ი. ე. ჯაში** განაგრძობს ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ქლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 1107. 791

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ № 20. წ. 1022

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. დადეშქელიანისა.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

**ექიმი ი. კ. აბაკელია** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. ელისაბედის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

**ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საზებირო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

**ექიმი ს. ი. ბძელიშვილი** იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411


# ქართული პრესა

„კლდე“ კვლავ უბრუნდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში არა ერთხელ აღძრულ საკითხს—ერობის შემოღებას და ცდილობს დაარწმუნოს უმაღლესი მთავრობა, რომ ჩვენი ქვეყანა დიდი ხანია მომწიფდა ერობისთვის.

„ჩვენდა საბედნიეროდ უნდა განვაცხადოთ,—სწერს „კლდე“,—რომ ერობის საჭიროება უკვე მომწიფდა ჩვენში. ამაში არ არსებობს არავითარი ეჭვი, რომ ჩვენი სოფლის მთელი სამეურნეო და ადმინისტრატიული ცხოვრება მედგრად მოითხოვს ერობას. თუ რამდენად მედგარია ეს მოთხოვნილება, სჩანს იქიდანაც, რომ საზოგადოება ველარ კმაყოფილდება არსებულ დაწესებულებებით და თითონ ჰქმნის ისეთ კერძო ორგანიზაციებს, რომელნიც, თუმცა ფერ-მკრთალად, მაგრამ მაინც ძალ-ღონის მიხედვით ასრულებენ ერობის ფუნქციებს.

ყველა ეს მართალია, მაგრამ განა თუნდა მთავრობის წრეებში მოიძებნება ერთი ადამიანიც მაინც, რომელსაც გულწრფელად სწამდეს, რომ ჩვენი ქვეყანა ერობისთვის მომზადებული არ არის? და თუ მიუხედავად ამისა, ერობას მაინც არ გვაძლევენ, მიზეზი სულ სხვაგან უნდა მოვძებნოთ. იქ, სადაც გულწრფელობა არ არის, არავითარ საბუთს ძალა არა აქვს.

* *

ათონის ქართველთა მონასტერს, რომელსაც ბერძენი ბერები ედავებიან, ახალი საფრთხე გაუჩნდა მათ, რომ ის ნახევარ-კუნძული, რომელზედაც მდიდარი მონასტერია გაშენებული, ბერძნებმა დაიჭირეს. ამის გამო გაზეთი „თემი“ სწერს.

„აქ უფრო საერთაშორისო უფლების საკითხია გადასაწყვეტი, რადგანაც ათონის მთის შესახებ არსებობს ბერლინის ტრაქტატის 62 მუხლი, რომელიც პირდაპირ ღაღადებს: ათონის მთის ბერები, რომელ მხრიდანაც უნდა იყვნენ, განაგრძობენ თავიანთ ქონების ფლობას და ყველამ, გამოუკლებლად, უფლებისა და უპირატესობის თანასწორობით უნდა ისარგებლოს“.

ამ მიზნის განსახორციელებლად „თემი“ წინადადებას აძლევს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, ეს საკითხი გაახმაურონ და დროზე მოჰკიდონ ხელი. საკითხი, მართლაც, საყურადღებოა. არავის ესიამოვნება ამ ისტორიულ სიმდიდრის დაკარგვა, მაგრამ ვეჭვობთ რამე მოჰხერხდეს ბერლინის იმ ტრაქტატის ძალით, რომელმაც ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ვერ შესძლო „სტატუს-ქვო“-ს დაცვა. ომი უარჰყოფაა ამ ტრაქტატისა. საშუალება ერთადერთია—ან რუსეთმა უნდა იდვას თავს ქართულ ეკლესიის ინტერესების დაცვა მომავალ კონფერენციაზე ან თვით საბერძნეთმა უნდა აღიაროს ეს უფლება. ცხადია საბერძნეთი თავის მიერ დაპყრობილ ქვეყანაში როგორც ჰსურს, ისე მოიქცევა, და რუსეთმა კი ძალიან საექვოა, დღევანდელ პოლიტიკურ კონიუნქტურის დროს, დიპლომატიურ მოლაპარაკების საგნად გაჰხადოს ეს საკითხი. სრული ჭეშმარიტებაა! ათონის მონასტრის ბედ-იღბალი ყველასთვის საინტერესოა, მაგრამ საჭიროა, სანამ გავახმაურებდეთ და ბუკსა და ნაღარას დაკრავდეთ, ჩვენ თვითონ ჩვენთვის გამოვვერკვია, რანაირ პრაქტიკულ ზომების მიღება შეიძლება დღევანდელს პირობებში.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სამრევლო სკოლების მეთავყურედ** უჯარმის მღვდელი დ. მჭედლიძე დაამტკიცეს.

✦ **ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებლის** ეკლესია დღეს, მღვთის მშობლის ტაძრად მიყვანების დღეს, თავის დღესასწაულსა უქმობს.

✦ **შეიარაღებული თავდაცემა მღვდლის სახლზე.** ტფილისში ჩამოვიდა გორის მაზრის სოფელ სანებლის მღვდელი იაკობ კაპანაძე და ეგზარხოსსა და გუბერნატორს სთხოვა, ამ სოფლიდან სხვაგან გადაიყვანონ. ამის მიზეზი შემდეგია: 19 ნოემბერს, ღამით, როდესაც მღვდელი ოჯახურ საქმეთა გამო ტფილისში ყოფილა, მის სახლს რამდენიმე შეიარაღებული უცნობი თავს დასცემია, როგორც ეტყობა, მღვდლის მოსაკლავად. უცნობებს წაუღიათ ფულად 25 მან., ვერცხლისა და ოქროს ნივთები და მიმალულან. დაუტოვიათ ერთი ბარათი, რომლითაც მღვდელს წინადადებას აძლევენ, დაუყოვნებლივ სხვაგან გადავიდეს ამ სოფლიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებიან.

✦ **მსახიობ ვლ. სარ. მესხიშვილის იუბილეს გამო.** დღეს, 21 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ქართულს თეატრში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის კრება, რომელზედაც მიწვეული არიან სხვა და სხვა საზოგადოებისა და დაწესებულების წარმომადგენელნი. კრებამ უნდა შეიმუშაოს ნიჭიერ მსახიობის ვლადიმერ სარდიონის ძის ალექსი-მესხიშვილის 30 წლის მოღვაწეობის იუბილეის გადახდის პროგრამა.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრებად** არჩეულ იქმნენ შემდეგი ხმოსნები: ი. ნ. ხუნუნცი, ა. რ. ფიშერი, ლ. გ. ევანგულოვი, ლ. ა. ვაჩნაძე, ს. ხ. სულხანოვი, ბ. ა. პოპოვი, ნ. ა. ხარაზიანი, ა. მ. ტერტეროვი, მ. ი. სვეშნიკოვი, მ. ი. მარტიროსიანცი, ს. გ. მაზძანოვი, გ. ნ. კეილი, მ. ზ. ქანანოვი და მ. ზ. ავთანდილოვი. კანდიდატად ს. მ. ნუნუფაროვი აირჩიეს.

✦ 19 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, თავის სახლში (ელისაბედის ქუჩა, № 92) **თავი ჩამოიხრჩო სამხედრო ექიმმა სამსონ სვიმონის ძე დიდიძემ.** განსვენებული მე-84 შირვანის ქვეითა პოლკში მსახურებდა და უკანასკნელ ხანებში დასასვენებლად იყო დათხოვნილი, რადგანაც ჭკუაზე შერყევის ნიშნები აღმოაჩნდა.

✦ 18 ნოემბერს **უეცრად გარდაიცვალა ქალაქის ლომბარდის გამგე კ. ი. ასლამაზოვი,** რომელსაც ეს თანამდებობა 26 წელს ეჭირა. ქალაქის საბჭომ განსვენებულის დასამარხად 400 მან. გადასდო. ამასთანავე დაადგინა, სამძიმარი უთხრას განსვენებულის ქვრივს და მის დაკრძალვას დაესწროს.

✦ ქალაქის ლომბარდისა და სააუქციო დარბაზის გამგე კომისიის თავჯდომარის ამხანაგად ხმოსანი ს. ხ. სულხანოვი აირჩიეს.

✦ **კოჯრის რკინის გზა.** როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისიდან კოჯრამდე რკინის გზა გაჰყავთ სოლოლაკის გვირაბით. გვირაბის გაყვანის კონცესია ქალაქისაგან მიღებული ჰქონდათ ინჟინრებს ბრაილოვსკისა და ხატისოვს. ბრაილოვსკი გარდაიცვალა. ამის გამო გუშინ განსვენებულის ქვრივმა, როგორც თავის შვილების აპეკუნმა, ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ ის უარს ამბობს კონცესიაზე. ამ რიგად კონცესიის სრულ პატრონად ინჟ. ხატისოვი დარჩა.

✦ **ავლაბრის საქალაქო სამკურნალოს ორდინატორად** ი. ა. მირზოევი დაინიშნა, ხოლო ავლაბრის სამკურნალოს ორდინატორი შახაზიზოვი ალექსანდრეს საავადმყოფოს ორდინატორად დაინიშნა.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** შემოწმების შემდეგ გუშინ ერთი ახალგაზრდა ჩარიცხა სამხედრო სამსახურში. მისაღებია კიდევ 39 კაცი. შემდეგი კრება საკრებულოსი პარასკევს, 23 ნოემბერს მოხდება.

✦ **ქალაქის პირველი ღამის თავშესაფარი** 19 ნოემბერს გამგეობის წევრებმა თავ. ა. მ. არღუთინსკიმ და მ. ნ. ათაბეგოვმა და ზოგიერთმა ხმოსანმა დაათვალიერეს. თავშესაფარში ჯეროვანი წესიერება და სისუფთავე აღმოჩნდა.

✦ ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის პროკურორი ბ-ნი **პოპოვი** პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ რედაქციამ მიიღო კიევის ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფისაგან სამძიმრის დეპეშა **არისტო ქუთათელაძის** გარდაცვალებისა გამო.

✦ **რედაქციამ მიიღო.** ქუთაისში გამოცემული წიგნაკი „გიორგი საააკამე სამსჯავროს წინაშე“. ეს არის სიტყვა გრ. გიორგაძისა, რომელიც ტფილისსა და ბათომში სააკაძის გასამართლებაზე უთქვამს. ფასი წიგნაკისა ერთი შაურია.

✦ **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“, შედგენილი თ-დ ს. მ. ჩოლოყაშვილის მიერ. წიგნი გამოცემულია თ-დ დიმ. ერ. ჩოლოყაშვილის საფასურით. შეიცავს 101 გვერდს, დასურათებულია და ღირს ექვს შაურად. ასი ცალი ამ წიგნისა გამომცემელმა შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, თავის სკოლებში დასარიგებლად.

✦ **უხვი ქველმოქმედნი ძმანი ლევ. პეტრე და იაკობ კონსტანტინეს ძენი ზუბალაშვილები ქალაქის საბჭომ ტფილისის საპატიო მოქალაქეებად აირჩია.** ქალაქის გამგეობამ ეს ამბავი დეპეშით აცნობა ძმ. ზუბალაშვილებს, რომელთაც დეპეშითვე მადლობა გადაუხადეს.

## სასამართლო

✦ გამომძიებელი ალექსანდროვი, რომელსაც უნდა გამოერკვია, თუ რა მონაწილეობა მიიღო ლიჟინმა „დაშნაკცაკანთა“ საქმის საბუთების გაფუჭებაში, მალე თავის გამოძიებას დაასრულებს. მერე მთელი საქმე გადაეცემა სენატის პირველსა და საკასაციო დეპარტამენტის შეერთებულ კრებას. გამოძიების წარმოებისდროს საბუთები ეწყო დეპარტამენტში, ამისთვის საგანგებო ყუთში, რომელსაც მცველად ჟანდარმები ედგა.

## ქუთაისი

✦ დღეს, ქუთაისის საკრებულო დარბაზში დანიშნულია **ქართულ მომღერალ გუნდის კონცერტი.**

✦ „იმერეთის“ რედაქციას შეუძენია განსვენებულ გრ. აბაშიძის ლექსების რვეული, რომელიც ცენზურა გავლილია. რვეულში ყოფილა სულ 170 ფურცელი. 75 ლექსი თითქმის სულ წითელი მელნით ყოფილა ცენზურისაგან წაშლილი.

✦ დღეს, ქუთაისში მოასვენებენ ერევანში გარდაცვლილ **ნიკოლოზ დავითის ძე მაჭავარიანის** ცხედარს.

✦ **არისტო ქუთათელაძის** გარდაცვალების გამო, 17 ამ თვეს ხონში დანიშნული ილიას საღამო გადაიდო.

✦ ქალაქის განათების მოიჯარადრეს ი. საარევს წინადადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში შესახებ იმისა, რომ იჯარით მიეცეს მას ქალაქის **ტელეფონის ქსელი.** როგორც გავიგეთ, ქალაქი ამ ჟამად ზარალობს ტელეფონიდან წლიურად 3,000 მანეთამდე; ბ. საარევი კი თანახმაა იკისროს ყოველგვარი ხარჯი და ქალაქსაც ყოველწლიურად აძლიოს 1000 მანეთი. ბ. საარევს თურმე განზრახვა აქვს გააიაფოს ტელეფონის წლიური საბონემენტო გადასახადი 45 მანეთამდე (ნაცვლად 60 მანეთისა) და მასთან ზოგიერთი დაბა (როგორც: ხონი, სამტრედია, ზესტაფონი და სხ.) ტელეფონით შეუერთოს ქუთაისს.

✦ ქალაქის საბჭომ დაადგინა ქალაქის ახალი საავათმყოფო **ელექტრონით გაანათოს.** ამისათვის მან უნდა შეიძინოს საკუთარი ელექტრონის მანქანა, რომლის ძალა შე, ეძლევა გამოიყენოს რიონიდან საკლაოსათვის საჭირო წყლის ამოსაღებადაც. ქალაქის ახალ საავათმყოფოში გადასვლა განზრახულია მომავალი წლის 1 იანვრიდან.

✦ ქალაქის საბჭო უკვე შეუდგა მომავალ 1913 წლის **სავარაუდო შემოსავალ-გასავლის განხილვას;** ჯერ-ჯერობით მან განიხილა მხოლოდ სავარაუდო შემოსავალი, რომელიც უდრის 190,103 მან.

✦ **გუბერნატორმა გაათავისუფლა სატუსაღოდან** ვადის შესრულებამდე ნაფიცი ვექილის თანაშემწე არსენიძე და ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი ა. იოსელიანი და ვ. მახვილაძე, რომელთაც ბრალსა სდებდენ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს ქალაქის გამგეობის ბექდის ამოღებას სტოლის უჯრიდან და საარჩევნო ბიულეტენების დამზადებას.

✦ განთავისუფლებულ იქმნა სატუსაღოდან ნაფიცი ვექილის თანაშემწე **გრ. გიორგაძე,** რომელსაც გაზეთში ერთი წერილის მოთავსებისათვის სასამართლოს მიერ სამი თვის ციხე ჰქონდა მისჯილი.

✦ ქალაქის გამგეობას წინადადება მიუცია მ. ლაღიძისათვის, რომ ქალაქის გამგეობის შენობას გარდა **უფასოდ გაანათოს ელექტრონით** ქალაქის სამკითხველო და ბაღი. როგორც გავიგეთ ბ. ლაღიძე დათანხმებულა ამ წინადადებაზე.

✦ 15 ნოემბრისათვის დანიშნული საჯარო ვაჭრობა მესხეთის მოედანზე სავაჭრო „ბუდკებისათვის“ ადგილების იჯარით გასაცემად არ შესდგა. იჯარით გასაცემი სულ 15 „საბუდკე“ ადგილია, სივრცით თითო 12 ოთხკუთხი საჟენი.

✦ ქალაქის საბჭომ დაადგინა, ისევ იჯარით მისცეს ქალაქის თეატრი ადგილობრივ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას.

✦ 12 ნოემბერს **ქალაქის საბჭომ** უყურადღებოდ დასტოვა ყასბების თხოვნა ხორცის ნიხრის მომატებაზე. როგორც გავიგეთ, ყასბებს ახალი თხოვნით მიუმართავთ საბჭოსათვის ამავე საკითხის შესახებ.

# ნაყოფიერი საქმე.

ჩვენს პრესასა და საზოგადოებაში არა ერთხელ ჩამოვარდნილა ლაპარაკი დღევანდელ სკოლის უკუღმართობაზე. ბევრჯელ აღნიშნულა, რომ თანამედროვე სკოლა მხოლოდ მოხელეებს ამზადებს, მართლაც, ყოველ-დღიური მაგალითი აშკარად გვიჩვენებს, რომ ვინც დიპლომს ვერ მიიღებს და მოხელის ადგილს ვერ მოიგდებს ხელში, რაც უნდა სწავლითა და ცოდნით იყოს აღჭურვილი, ცხოვრებაში გარიყული დარჩება.

ყველა ეს არა ახალია—ძველია, მაგრამ ჩვენ მაინც გონს ვერ მოვედით და ნაწილი იმ საზოგადო თანხისა, რომელსაც დღეს მოხელეების დასამზადებლად ვხარჯავთ, ვერ მოვახმარეთ ისეთ სასწავლებლებს, რომელიც ჩვენი ახალგაზდობის ერთ ნაწილს ცხოვრებაში გამოსაყენებელს უდიპლომო ცოდნასა და გამოცდილებას შესძენს. უფრო მეტ დაუდევრობასაც ვიჩენთ: არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ იმ ორიოდე დაწესებულებას, რომელიც ზემოხსენებულ სასარგებლო საქმეს ესახურება.

ასეთია, სხვათა შორის, ქართველ ქალთა ამხანაგობის პროფესიონალური სკოლა. წელს თხუთმეტი წელიწადი შეუსრულდა ამ სკოლას, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, ბევრს მისი არსებობაც არ ექნება გაგონილი და არ ეცოდინება, რა სარგებლობა მოიტანა მან ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში.

ორი დიდი ღირსება აქვს ამ სკოლას: პირველი ის, რომ ემსახურება უღარიბეს ნაწილს ქართველ საზოგადოებისას და მეორე—აწვდის მოწაფეებს ცოდნას, რომელიც საშუალებას აძლევს ხელ-მოკლე ადამიანს ცხოვრებაში საკუთარი და დამოუკიდებელი გზა გაიკვლიოს. სკოლას ეტანებიან როგორც ქალაქელნი, ისე სოფლელნი, ქალაქისა და სოფლის პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულნი. მარტო წელს საგარეჯო-ხაშმის მხრიდან სკოლაში თხუთმეტამდე სოფლის ახალგაზდა ქალი შევიდა. მრავლად არიან იმერ-საქართველოდანაც, განსაკუთრებით გურულნი. სკოლაში ამ ჟამად 150-მდე მოწაფე ქალი სწავლობს. მსურველი შესვლისა ყოველთვის ბევრია, მაგრამ სივიწროვისა და ხელმოკლეობის გამო ყველას ვერ იღებენ. წელს, მაგალითად, მიღებაზე უარი ეთქვა 63 ქალს, შარშან 75 ქალს, [illegible] წინ—80 ქალს.

ამ [illegible] ლებისაგან შესდგება. მოწაფე-ქალები უმთავრესად პროფესიანალურ ცოდნას იძენენ (ჭრა-კერვას, ქარგვას, ფეხსაცმელების კერვას და სხვ.) მაგრამ ამას გარდა სკოლაში ასწავლიან შემდეგ საგნებსაც: ქართულსა და რუსულს, ანგარიშს, ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნების-მეტყველებას, ხატვას და სიმღერას. დღეს საქართველოში არ არის დაბა და ქალაქი, სადაც ამ პროფესიანალურ სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულნი არ მუშაობდნენ. ბევრმა დაარსა პროფესიანალური სკოლა და სახელოსნო გორში, ოზურგეთში, ბათუმში, ზუგდიდში და, ასე გასინჯეთ, სოფლებშიც-კი, როგორც მაგალითად საგარეჯოში, ხაშმში, მცხეთაში, ვაქირში, ხირსაში და სხვაგან 15 წლის განმავლობაში ოთხას ქალზე მეტმა გაათავა სასწავლებელი და დღეს ყველა ესენი, გარდა იმისა, რომ საკუთარის შრომით სცხოვრობენ, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში პროფესიანალურ ცოდნასაც ავრცელებენ.

სამწუხაროდ, უსახსრობა ხელს უშლის სკოლის ზრდასა და წინსვლას. დიდი ხანია ხელმძღვანელთ განზრახული აქვთ საკუთარი სადგომის შეძენა და ამ რიგად სკოლის გაფართოვება, აგრეთვე სხვა და სხვა ხელ-საქმის შემოღება (მაგალითად, ძველებურ ქართულ ხელ-საქმისა, ხალიჩა-ფარდაგების და აბრეშუმის ქსოვისა და სხვა), მაგრამ ხელ-მოკლეობის გამო ეს განზრახვა ჯერჯერობით სისრულეში ვერ მოუყვანიათ. ისიც გვიკვირს, ამდენი ხანი როგორ იარსება ასე ნაყოფიერად ამ დაწესებულებამ. თქმა არ უნდა, ეს სასწაული მთლად ქალთა იმ პატარა წრეს უნდა მიეწეროს, რომელიც საქმეს სათავეში უდგას. წინად ამ წრეს ხელმძღვანელობდა დიდად პატივცემული კნ. ოლღა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა, მეუღლე ჩვენი უკვდავ პოეტის ილიასი, ხოლო დღეს ხელმძღვანელობს მხცოვანი მწერალი—ქალი ეკატერინე გაბაშვილისა. ამ წრის მეოხებით აღმოჩნდნენ ქველ-მოქმედნი, რომელნიც ყოველ წლიურ დახმარებას უწევდნენ და უწევენ სკოლას: სარაჯიშვილი, ღოღობერიძე, ზუბალაშვილი, ტფ. გუბერნიის თავადაზნაურობა, ქართული სამეურნეო ბანკი, ტფ. ქალაქის თვით-მმართველობა და სხვანი.

მაგრამ, ვიმეორებთ, ყველა ეს საკმაო არ არის. საჭიროა ქართველ საზოგადოების და დაწესებულებათა უფრო მეტი დახმარება და თანაგრძნობა. თხუთმეტი წლის მოღვაწეობით ამ დაწესებულებამ დაამტკიცა, რომ დიდი სარგებლობა მოაქვს, ამიტომ ყველა ჩვენგანი მოვალეა გაუწოდოს დახმარების ხელი. სწორედ დღეს, 12 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ამხანაგობისა. ყველას შეძლება ეძლევა მოვიდეს, დაწვრილებით გაიცნოს საქმეები და რჩევით თუ საქმით გაარკვიოს ის ნაყოფი, რომელიც სკოლამ დღემდე მოიტანა.

# არისტო ქუთათელაძის დაკრძალვა

## დაბა ხონში.

კვირას 18 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე, ხონის მთელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი მიცვალებულის ბინაზე. გვირგვინით შეამკეს ტფილისიდან მოსულმა ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა წარმომადგენლებმა და აგრეთვე იქაურ წ. კ. ს. გამგეობამ. დაესწრნენ ხონის სამასწავლებლო სემინარიის მოწაფენი და მასწავლებლები თავის დირექტორ ალექსი ქიქინაძის მეთაურობით, ვაჟების გიმნაზიის და სასწავლებლის მასწავლებელნი და სხვა საზოგადოების წარმომადგენელნი. პანაშვიდზე გალობდა მწყობრად ქართულად პატარა ხორო აქაურ სემინარიელებისა. შემდეგ პანაშვიდისა კუბო გამოასვენეს მიცვალებულის ყოფილმა მოწაფეებმა და მეგობარ მასწავლებლებმა, გზა და გზა კი საფლავისკენ კუბო წაასვენეს სემინარიელებმა.

ანდერძის აგების შემდეგ არისტოს ძველმა მეგობარმა, ჩვენმა პატივცემულმა მოღვაწემ ალექსი ქიქინაძემ სიტყვა წარმოსთქვა.

გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე განსვენებულის მოწაფემ, ეხლა კი ტფილისის ქართულ გიმნა-

ზიის მასწავლებელმა, ბ-ნმა დავით პარკაძემ მოგვყავს ეს სიტყვა:

„ისედაც ღარიბ ქართველ ერს თავისი განმანათლებელი ძალებით, დღეს კვლავ მოაკლდა ერთი საუკეთესო და პატიოსანი მუშაკი არისტო ქუთათელაძე. გამოესალმა არისტო ისეთ ქართულ კულტურულ დაწესებულებას, როგორიც არის ტფილისის ქართული გიმნაზია. თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს ამ ორს ამერ-იმერის, ქართულ გიმნაზიებს ჩვენ მოზარდ-თაობის აღზრდა-განათლების საქმეში, ამაზე, მგონია, მეტია ლაპარაკი. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს არის ჩვენი სამშობლო ტაძარი, ეს არის ნამდვილი აკვანი ჩვენს ყრმათათვის. აი ამ აკვნის დამრწევი, ნორჩ მოზარდთა მოალერსე და მოსიყვარულე იყო ჩვენი არისტო. არისტო მისთვის იყო და ის არისტოსთვის. ოც წელზე მეტი ემსახურა არისტო ამ ძვირფასს ტაძარს. თუ რამ ძალი და ღონე ჰქონდა, გრძნობა და ცოდნა, ერის ერთგულმა შვილმა არისტომ ისევ თავის ერის მოზარდ თაობას შესწირა და მხოლოდ ძალა-მიხდილმა და დასნეულებულმა დაჰყარა თვისი იარაღი და მიესვენა საუკუნოდ.

საყვარელო და ძვირფასო არისტო!

ყველა ამ ტანჯვისა და მაგისთვის შენ დაიმსახურე მხოლოდ ის, რომ ჩვენც, შენი მოწაფენი, შეგვაჩვიე ტანჯვას და შრომას ჩვენი მამულისა, ერისა და ენის წარმატებისთვის.

შენი ჩვენდამი სიყვარულით და ალერსით მოიმკე ჩვენს გულში იგივე ღრმა სიყვარული შენდამი და ყოველივე პატიოსან და მოსიყვარულე ადამიანისადმი.

მრავალი ქართველნი აგიზრდია, სათნოიანო და სიყვარულით სავსე არისტო, და მგონი უკეთესს ძეგლსაც ვერ ინატრიდი, როგორიც შენ დაიდგი მათს გულში. დღეს ეს შენი აღზრდილნი, გაფანტულნი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, იგონებენ შენ სპეტაკ და კეთილ სახეს და ფიცს სდებენ შენ წინაშე, ემსახურონ მედგრად შენგნით დატოვებულ წმიდა ანდერძს მამულისა და ერის აღორძინებას.

ტფილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კრებულიც თვისი მოწაფეებით დღეს საქართველოს დედა ქ-ლაქში დაგტირიან ძმა მოსილნი და გიძღვნიან უკანასკნელ სალამს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, სასიქადულო ქართველო ადამიანო და მასწავლებელო"!

**დამსწრე.**

# ქართველ სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმის

### გადატანის საკითხი.

(წერილი რედაქციის მიმართ).

მას შემდეგ რაც ისტორიულ ქართულ ქარტეხილის გრიგალმა გადაირა და მოგვშორდა მეზობელ ბარბაროსების ცეცხლი და მახვილი, დამშვიდებულმა ქართველმა სამღვდელოებამ მოიწადინა ყოველი ისტორიული ნივთი, რაც კი მტარვალურს ხელს გადურჩა, შეეგროვა ერთ ალაგას—მუზეუმში, და მსწავლულთათვის მიეცათ საშუალება მათი აღნუსხვისა და მეცნიერულად შესწავლისა.

ამის გულისათვის აგებულ იქმნა საგანგებოდ პატარა შენობა სიონის ტაძრის გალავანში და, თუ არა ვსცდები, ოცდა-ხუთიოდ წლის წინად, სადაც ყოველმა კერძო პირმა, ეკლესიამ და მონასტერმა მოუყარეთ თავი რაც კი რამ გვებადა და დღეს შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ გვაქვს საუნჯე, ჩვენი წარსული დიდების განძი.

ეხლა განუზრახავთ სხვა და სხვა მოსაზრების გამო გადიტანონ მუზეუმი იქიდან და მისი შენობა დაანგრიონ. მე კი ვიტყვი: სადაც უნდა წაიღონ ეს განძეულობა, უპირველეს ყოვლისა საჭიროა უზრუნველ ჰყონ ცეცხლისაგან, ბოროტის ხელისაგან და სინესტისაგან.

მუზეუმის გადატანის შესახებ შემდგარა კომისია ეპისკოპოს ანტონის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა დაიმუშაოს საკითხი და შემდეგ თავისი მოსაზრება წარუდგინოს მომავალს საეპარქიო კრებას განსახილველად, დასამტკიცებლად.

მუზეუმის ბინის შეცვლა უნდათ ორის მოსაზრებით რომ:

1) სიონის ტაძარს ეზო გაუფართოვონ და თვალსაჩინო გახადონ იგი და 2) ტაძრის კედლებს სინესტე მოუსპონ.

პირველი მოსაზრების შესახებ ამას ვიტყვი, რომ არამც თუ ის შენობა, საცა მუზეუმია საჭიროა აიღოს—დაინგრეს, არამედ რაც კი სხვა შენობებიც არის საყდრის ეზოში, სულ რომ მთლად აშალონ, ეზო მაშინ უფრო გაფართოვდება და აღმოსავლეთის მხრივაც ტაძარი თვალსაჩინო გახდება მტკვრის მარცხენა ტფილისისთვის. მაგრამ ეზოს გაფართოებას უფრო სჯობს დავუყენოთ წინ სარგებლობის მხარეც, ნივთიერი მდგომარეობა სიონის ტაძრისა, რადგან ამ ბოლო დროს არამც თუ ქართველი სამღვდელოება, არამედ ქართული ეკლესიებიც ძალიან დაღარიბდნენ და სიონის ტაძრის გალავნიდან ყოველი შენობის აშლა ძალიან საგრძნობელი იქნება.

სამხრეთსა და ჩრდილოეთის მხრივ ტაძრის კედლები უფრო მშრალად არიან შენახულები ვიდრე აღმოსავლეთისკენ და ეს იმიტომ, რომ ამ მხრივ ძალიან ახლოა საყდარზე სახლის შენობის კედლები, რომლებიც მზის სხივებს ნებას არ აძლევენ საყდრის კედლებს თავისუფლად მიუდგნენ და გაათბ-გააშრონ. სამწუხაროდ, რომელ კედლების დანგრევაც უფრო საჭიროა ტაძრისთვის სინესტის მოსაშორებლად, სწორედ ამ კედლებზე ჰსურს კომისიას აიყვანოს მუზეუმის შენობა და ამით, რასაკვირველია ერთი-ორად უფრო დაჩრდილოს აღმოსავლეთის კედლები ტაძრისა, რითაც სინესტე უფრო გაორკეცდება და არ კი მოისპობა. შესაძლებელია სიონის გალავნის გადიდება აგრეთვე საკრებულო ოთახების უკან გადადგმით, რადგან მდ. მტკვარი მარცხენა სანაპიროს მიაწვა და აფრიკიანცის ქარვასლის მტკვრის-პირის კედლის გასწვრივ რომ გადიტანონ შენობები ამით ეზოც ძრიელ გაფართოვდება და სინესტესაც ბევრად მოსპობს. მაგრამ ეს საკითხი ჩვენ არ გვაინტერესებს საიმისოდ, რადგან ეს პირდაპირ სიონის ტაძრის კრებულის და მის სამზრუნველოს საქმეა; ჩვენ გვაინტერესებს მუზეუმისთვის შენობის და ადგილის მოპოება. ჯერ-ჯერობით სასურველია მუზეუმი იქვე დარჩეს, სადაც არის და თუ ამას აღარ გვიყაბულებენ, მაშინ მისი ბინა უნდა მოვძებნოთ სიონის გალავნის გარეშე.

ჩვენა, ახლანდელი თაობა ქართველ სამღვდელოებისა, ყველაფერს ვაკეთებთ აჩქარებით, აღარ გვიწვდება გონება სამუდამოზე, საშვილიშვილოზე და ამიტომაც არის, რომ ერთსა და იმავე საქმეზე ხუხულობის გამო უფრო მეტსა ვხარჯავთ, ვიდრე ეს მოსახერხებელი იქნებოდა დალაგებულ გონების წადმართობით.

ამიტომ თუ ქართველი სამღვდელოება ვერ მოახერხებს საეკლესიო მუზეუმის ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სალაროსთან შეერთებას, საჭიროა მაშინ ერთხელ და სამუდამოდ ავაგოთ შუა ქალაქში ცალკე მტკიცე შენობა, სადაც ბატონ-პატრონად ჩვენვე ვიქნებით და ჰრელი ხელი ვეღარ შემოგვერევა საფათურებლად.

**მღ. ნიკ. ბარნაბიშვილი.**

# სათათბიროს გარშემო

სათათბიროს კულუარები მარტო პრეზიდიუმის არჩევნებზე-ღა ლაპარაკობენ. ოპოზიციამ, გარდა სოციალ-დემოკრატებისა და შრომის ჯგუფისა, გადასწყვიტა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს პრეზიდიუმის არჩევანში. შრომის ჯგუფის წარმომადგენლებს განუცხადებიათ, დღევანდელს პირობებში, როდესაც მთავრობა ძალას ატანდა ამომრჩევლების ნების-ყოფას, შეუძლებლად მიგვაჩნია პრეზიდიუმის არჩევანში მონაწილეობის მიღებაო. ჩვენ ვერ ვიკისრებთ პასუხის-მგებლობას ამნაირს პირობებში არჩეულ პრეზიდიუმის მოქმედებასაო. შრომის ჯგუფის თვალსაზრისს ოპოზიციონერთა საერთო თათბირზე ანვითარებდნენ ვ. ი. ძიუბინსკი და ა. ფ. კესენსკი.

სინოდის ობერ-პროკურორის სახლში გაიმართა თათბირი მღვდელ-დეპუტატებისა. ლაპარაკობდნენ საერთო მოქმედების შესახებ. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ საჭიროა მღვდლების ცალკე ორგანიზაციის დაარსება. ეპისკოპოსი ნიკონი ამ აზრს უჭერდა მხარს. მაგრამ იყვნენ წინააღმდეგნიც, რომელნიც ამბობდნენ, ყველა მღვდლების საერთო ორგანიზაციის დაარსება შეუძლებელია, რადგანაც მათს შორის ყველა საკითხების გამო ერთნაირი აზრი არ იქნებაო.

მღვდლები გარკვეულ გარდაწყვეტილებას ვერ დაადგენენ.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, როძიანკოს სიტყვას თითქმის მთელს ოპოზიციაზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

— როძიანკოს სიტყვებს კონსტიტუციაზე, — ამბობს ჩელნიკოვი,— განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. არ უნდა დაგავიწყდეთ, რანაირ წრეებში ტრიალებს როძიანკო და მუდამ რანაირს გავლენის ქვეშ იმყოფება. „ტრუდოვიკი“ ძიუბინსკი ამბობს, როძიანკოს სიტყვა თამასუქია, ოქტომბრისტებს გადახდა დასჭირდებათო.

სრულიად მოულოდნელი ფინალია!—ამბობს სოციალ-დემოკრატი ჩხეიძე.—ვინ იფიქრებდა, რომ ამნაირს სათათბიროში თავმჯდომარე ასეთს სიტყვას იტყოდა!

— ალბად რუსეთის ცხოვრების პირობები იმდენად გამოიცვალა,— შეჰნიშნავს „ტრუდოვიკი“ კესენსკი, —რომ ყოვლად ზომიერი ელემენტებიც კი კონსტიტუციის მომხრენი ჰხდებიან.

# ბალკანეთის ომი

### დ ე პ ე შ ბ ე ი.

### 20 ნოემბერი.

### ბულგარეთის მხრით

**სოფია.** 7 ნოემბერს ბულგარებმა კირჯალთან დაამარცხეს ოსმალეთის ჯარი და ქალაქი აიღეს. ოსმალები ჰუმულჯინისკენ გაეშურნენ. კირჯალის ოლქში 20,000 ჯარის-კაცი დარჩა. ეს ჯარი ემუქრებოდა ბულგარებს. ამისთვის ბულგარეთის ჯარის ძლიერი ნაწილი გაემართა ოსმალებისკენ უნდოდათ მათთვის გზები შეეკრათ და ყოველმხრივ ალყა შემოერტყათ. ოსმალები თან და თან იწევდნენ, 13 ნოემბერს ცხარე ბრძოლის შემდეგ, ოსმალებმა თეთრი დროშა ააფრიალეს. გაიმართა მოლაპარება, მაგრამ ოსმალების პირობები ყოვლად შეუწყნარებელი იყო და ამის გამო ბრძოლა კვლავ გაჩაღდა. 14 ნოემბერს ოსმალები საბოლოოდ დაჰნებდნენ. ტყვედ წაიყვანეს: რაზმის უფროსი მაჰმედ-ივერფაშა მთელი შტაბით, 265 ოფიცრით და 12,000 ჯარის-კაცით.

### საბერძნეთისა და ჩერნოგორიის მხრით.

**რუკა.** ჩერნოგორები სკუტარას ყუმბარებს უშენენ. დაჟინებითი წვიმები ჩერნოგორელებს მოქმედებაში ხელს უშლის.

**ათინა.** მემკვიდრემ ჯილდოდ დაუნიშნა, 10.000 ფრანკი იმას ვინც მიტროპოლიტის მკვლელს, ბექირაღას შეიპყრობს.

**ათინა.** არტიდან იტყობინებიან: ოსმალეთის ჯარმა 16 ნოემბერს დაიჭირა პოსტა-იათინის შუა მდებარე სიმაგრეები.

**სალონიკი.** მოვიდა 30,000 მაკედონიიდან გამოქცეული.

### საზავო მოლაპარაკება.

**სოფია.** ბალკანეთის სახელმწიფოთა რწმუნებულების სხდომა დროებითი ზავის საკითხის გამო ჩათალჯაში არ მომხდარა. საბერძნეთის დელეგატებს ჯერ მთავრობისგან არ მისვლით ინსტრუქციები.

**სტამბოლი.** პორტის ცნობით, დროებითი ზავის ოქმზე ხელის მოწერა 20 ნოემბრამდე არ მოხერხდება, რადგანაც მოკავშირე სახელმწიფოთა ყველა დელეგატი ჯერ არ მოსულა და სრული თანხმობა ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა. დროებითი ზავის ხანგრძლივობა ოქმში განსაზღვრულად არ არის აღნიშნული. დროებითი ზავის ყავლი დამოკიდებულია საზავო მოლაპარაკების ხანგრძლივობაზე. მოპირდაპირე მხარეს ეძლევა უფლება უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე, გარნა თვისი გადაწყვეტილება უნდა 48 საათის წინ აუწყოს თვის მოპირდაპირე მხარეს. საზავო მოლაპარაკება მოხდება არა ჩათალჯაში, საცა მოწყობილება ხელს არ შეუწყობს დელეგატებს, არამედ ლონდონში ან პარიზში, როგორც ბულგარებს ჰსურთ, ან თუ არა, ოსმალების სურვილისამებრ. ბრიუსელში, ლიუქსენბურგში და ჟენევაში, დიდად შესაძლებელია მოლაპარაკება ნიცაში მოხდეს.

**სტამბოლი.** ოსმალეთის სააგენტო იუწყება: დროებითი ზავის ოქმს დღეს ვერ მოაწერეს ხელი, რადგანაც ტექსტში ცოტაოდენი ცვლილება შეიტანეს. ოქმი ან ორშაბათს, ან სამშაბათს იქნება ხელმოწერილი. დროებითი ზავის პირობები: პოზიციების ხელუხლებლობა, აკრძალულია გამაგრება ჩათალჯისა და ადრიანოპოლისა, დროებითი ზავის გაგრძელება იმ დრომდე, სანამ საზავო მოლაპარაკება არ დასრულდება, 48 საათის წინ უნდა გააფრთხილოს მოპირდაპირემ, თუ საომარ მოქმედების განახლებას განიზრახავს. ოქმს ხელს მოაწერენ: ნაზიმ-ფაშა, რეშიდ-ფაშა, რიზა-ბეი, გენერალი სავოვი, ფიტჩევი და დანევი.

**ბელგრადი.** საზავო მოსალაპარაკებლად სერბიამ თავის წარმომადგენლად დანიშნა ნოვიკოვიჩი, ნიკოლიჩი, ვესტნიჩი და პოლკოვნიკი პავლოვიჩი.

### გაზეთებიდან.

### ჩათალჯასთან.

სტამბოლიდან იუწყებიან: ბულგარეთის ჯარმა აიღო ს. კალიკრატია ბუიუკ-ჩეკმენჯეს პირდაპირ.

### ადრიანოპოლის ალყა.

სოფიიდან იტყობინებიან ოსმალთა ჯარის უკანასკნელ გამოხტომის დაწვრილებით ცნობებს: ბრძოლა დილის 4 საათ. დაიწყო. ოსმალნი მრავალრიცხოვანი რაზმებით წამოვიდნენ საიერიშოდ. ბულგარელები კონტრ-იერიშით მიეგებნენ და როდესაც ბრძოლა გაჩაღდა, უეცრად უკან დაიხიეს, რომ მტერი მოეტყუებინათ; ამით გამხნევებული დაედევნენ ვითომ გაქცეულ ბულგარელებს და ძლიერ დაშორდნენ ციხის საფრებს. ამ დროს, ბულგართა რაზმები უეცრადვე შეჩერდნენ, არტილერიამ მოჰმართა ზარბაზნები და საშინელ ჯვარედინ ცეცხლს მისცა გამოტყუებული ოსმალთა რაზმები, რომელნიც სრულიად გასწყდნენ; მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა უკანვე დაბრუნება. ღამის 11 საათზე ბრძოლა გათავდა. მეორე დილას ბულგართა პოზიციების წინ საზარელი სურათი გადაიშალა; მთელი ჭალა მოფენილი იყო ოსმალთა გვამებით, რომელთა რიცხვი ათასობით განისაზღვრებოდა. მოალყე ჯარის აზრით, ეს გამოხტომა უკანასკნელი იყო, რადგან ასეთ დიდ დანაკლისის შემდეგ ოსმალები ვეღარ გაბედვენ მეორედ გამოხტომას, მით უმეტეს, რომ მეციხოვნე ჯარის მდგომარეობა სიმშილისა და ავადმყოფობის გამო მეტად გაჭირვებულია. ქალაქი თითქმის ყოველ დღე იწვის ბულგართა მფრინავებისაგან ნასროლ ყუმბარებით.

### სერბიელები ალბანეთში.

ბელგრადიდან ცნობაა: სერბიის ჯარმა უბრძოლველად აიღო ქ. ელბასანი და ტირანე.

### გერმანელ პოლკოვნიკის დაჭრა.

სტამბოლიდან იუწყებიან: გერმანელი პოლკოვნიკი, ოსმალთა ჯარის ღენერალი გოჰვეხტერი, რომელიც ნაზიმ-ფაშის მარჯვენა ხელად ითვლებოდა, ჩათალჯაში დასჭერს.

# ბალკანეთი და ევროპა

### დ ე პ ე შ ე ბ ი

**ვენა.** ბუხარესტიდან დაბრუნდა ჯარის მეთვალყურე კონრად-გეტცენდორფი, იგი წარუდგა მეფეს და თვისი მოხსენება წაუკითხა რუ-ინიაში ყოფნის თაობაზე.

**ლურაცო.** სერბიის ჯარის რაზმი იტალიის სკოლაში მოთავსდა. ამის გამო იტალიის ელჩმა შესაფერი მოლაპარაკება გამართა ჯარის უფროსთან.

**პრაგა.** „პილზენსკი დნევკინი“ გვატყობინებს პილზენში მომხდარ დემონსტრაციის ამბავს: სადგურიდან ხალხი მუსიკით გაემართა მთავარ ქუჩებისკენ. ბრბო ჰყვიროდა: „გაუმარჯოს სერბიას! გაუმარჯოს რუსეთსო!“

**ბერლინი.** ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროს რეიხსტაგში იმპერიის კანცლერმა სთქვა: დიდ სახელმწიფოთა მთავრობა სცდილობდა ბალკანეთის აფეთქებისთვის ხელი შეეშალათ, მაგრამ ომი აცდენილი გამოდგა. სახელმწიფოთა ცდამ ომის ლოკალიზაციის საქმეში უნაყოფოდ არ ჩაიარ . მართალია, ბალკანეთის ომი, გერმანიას არ შეეხებოდა, მაგრამ გერმანიას იგეთივე უფლება აქვს ბალკანეთში ხმა აიმაღლოს ახალი წეს-წყობილების დამყარების დროს, როგორც სხვა სახელმწიფოებსო. მებრძოლ მხარეს მოთხოვნილებათა გამოქვეყნების შემდეგ, მოთხოვნილებას დიდი სახელმწიფონი განიხილავენ და შესაძლებელია გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოებს სხვა მხრიდან მოევლოს თავდასხმაო.

გერმანია მოვალეა დაეხმაროს თავის მოკავშირე სახელმწიფოებს და ამით უზრუნველჰყოს თვისი ქვეყნის მომავალი კეთილ დღეობაო. გერმანია მუდამ მეგობრულ განწყობილებაში იყო ბალკანეთის სახელმწიფოებთან, მაგრამ იმავე დროს ხელს უწყობდა ოსმალეთის ეკონომიურ გაღონიერებასო. ამ პოლიტიკის მომხრე იყო და იქნება გერმანიაო.

**ბუხარესტი.** 19 ნოემბერს მოხდა მიტინგი. აუარებელი ხალხი დაესწრო. ორატორები აღნიშნავდნენ მაკედონელ რუმინიების უმწეო მდგომარეობას და მოითხოვდნენ მათ დამოუკიდებლობას.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. კანცლერს უპასუხა სოციალისტმა ლიდერმა. ულმობელი კრიტიკა გაუკეთა ავსტრიის გამოსვლას, რომელიც სერბიის ეკონომიურად ჩაკვლას სცდილობსო. ლიდებურმა რუსეთის წინააღმდეგაც გაილაშქრა: რუსეთი სცდილობს ვანის ვილაეტში სომხების აჯანყება მოახდინოს და საბაბი იშოვოს ოსმალეთთან საბრძოლველადაო.

### გაზეთებიდან.

### ავსტრიის დემონსტაცია.

ვენიდან იუწყებიან: მიუხედავად ოფიციალურ უარყოფისა, მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. პოლიტიკურ კლუბების წარმომადგენელთა სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა შტურგკმა განაცხადა, რომ მთავრობა ახლო ხანში რეიხსრატში შეიტანს შემდეგ კანონ-პროექტებს: ცხენების რეკვიზიცია ჯარის საჭიროებისათვის, სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების დახმარება ომის დროს, კერძო პირთაგან სატრანსპორტო საჭირო ნივთების ძლევა და ბინების დათმობა ჯარის საჭიროებისათვის. მინისტრმა იმედი გამოსთქვა, რომ პარტიების მეთაურები დაჩქარებით განიხილვენ ამ კანონ-პროექტებს. დეპუტატთა წრეებში მინისტრის საომარმა ზრუნვამ დიდი აღელვება გამოიწვია; მათის აზრით სამხედრო კანონ-პროექტები იმ გარემოებითაა გამოწვეული, რათა რუსეთსა და სერბიას დაანახვონ, რომ ავსტრია არავითარ საშუალებას არ დაზოგავს თვისი ინტერესების დასაცავადო.

### სლავენების ობსტრუქცია რეიხსრატში.

პარტიის მეთაურების თათბირთან ერთად, რეიხსრატშიც სხდომა იყო. სამხრეთ-სლავენების დეპუტატებმა ობსტრუქციას მიმართეს. მათ სერბიელ ენაზე დაიწყეს პარლამენტში ლაპარაკი, რომლითაც ქება-დიდებას ასხამდნენ სერბიის ჯარს, წარმოსთქვამდნენ სერბულსა, ჩერნოგორულსა და ხორვატულ ლექსებს.

### ავსტრიის სამხედრო სამზადისი.

ბელგრადიდან იტყობინებიან: ორსოვოსა (უნგრეთშია) და სერბიის საზღვარს შორის, დუნაის იქითა ნაპირზე, მიმოსვლა შესწყდა. სერბიის ქვეშევრდომნი გადასახლეს ორსოვოდან, იქ მოწვეულია სათადარიგო ჯარი უკანასკნელ ათი წლისა. ავსტრიის მონიტორები, (მდ. დუნაის სამხედრო ფლოტი) რომელნიც ზემლინს მოვიდნენ, მდ. სავისა დ დუნაის სერბიის მხრის ნაპირებს ათვალიერებენ. სერბიის მთავრობამ უბრძანა გემებისა და ნავების პატრონებს, საქონელი ნაპირზე გადმოზიდეთო. ბოსნიის მე 15 და დალმაციის მე 16 კორპუსები გალიციის ციხეებისკენ იგზავნება, ხოლო გერმანული მე 9, მადიარული მე 12 და ზაგრების მე 13 კორპუსები კი—რუსეთის საზღვრისკენ.

### ავსტრიისა და სერბიის ჯარის შეტაკება?

ვენიდან ცნობაა: პარლამენტის წრეებში საშიში ხმა გავრცელდა: საზღვარზე სერბიისა და ავსტრიის ჯარის რამდენიმე შეტაკება მოხდაო.

### გერმანიის აზრი.

გერმანიის ერთს გამოჩენილ დიპლომატს გაზ. „რეიხშპოსტის“ კორესპონდენტისთვის უთქვამს:

— გერმანია არ ჩაერევა ავსტრიისა და სერბიის დავაში. ცდებიან ისინი, ვინც ჰფიქრობს, რომ გერმანია დურაცოს ნავთსადგურისთვის ომს ასტეხსო.

### დამოუკიდებელი ალბანეთი.

ლონდონიდან დეპეშით იტყობინებიან: ქ. დურაცოს სახაზინო შენობებზე ალბანეთის ნაციონალური დროშა ფრიალებს — შავი არწივი წითელ არეზე. მოხელეებს ებრძანათ, ახალ რეჟიმს დაექვემდებარეთო. ოსმალეთის გუბერნატორმა ჯარი გაუშვა და ქალაქიდან მიდის. მთელს ალბანეთში ავრცელებენ ალბანეთის ავტონომიის პროკლამაციებს.

### კონფერენციის მოწვევა.

„პელ - მელ - გაზეთი“ იუწყება: ედუარდ გრეიმ სახელმწიფოებს მიმართა შემდეგი წინადადებით: მოწვეულ იქმნას კონფერენცია ალბანეთისა, ეგეის ზღვის კუნძულებისა და სრუტეების საკითხის წინასწარ გამოსარკვევად. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ დიდ სახელმწიფოთა ელჩები. კონფერენციის პროგრამაში არ შევა ავსტრია-სერბიის დავის გარჩევა. რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ უკვე მიიღეს ინგლისის მინისტრის წინადადება. ამბობენ, კონფერენცია პარიზში შეიკრება ბოლო ხანშიო,

### ზავის მოლოდინში.

სოფიიდან იტყობინებიან: სამშვიდობო მოლაპარაკების შეწყვეტის შიში აღარ არსებობს. თათბირი გრძელდება. დანევის თავმჯდომარეობით მოხდა მესამე სხდომა. სერიოზულ კითხვებს არსებითად ჯერ არ შეჰხებიან. ელიან ოსმან-ფაშის მისვლას, რომელმაც გზად ინახულა ავსტრიის პოლიტიკის ხელმძღვანელები. მისი მოხსენებიდან გამოირკვევა, რამდენად შესაძლებელია ოსმალეთის მხრით დათმობის მოლოდინი. ყველაფერი ეს აჭიანურებს მოლაპარაკებას, მაგრამ მოკავშირენი არ შიშობენ, რადგან თუ ოსმალეთისთვის სასარგებლოა დროის მოგება, მოკავშირეთათვის იგი ორმაგად ხელსაყრელია. 15 ნოემბერს ოსმალეთის მთავარ სარდალმა ნაზიმ-ფაშამ საუზმე გაუმართა ბალკანეთის კავშირის წარმომადგენლებს.

### ინგლისის რჩევა.

ოსმალეთის ელჩს ლონდონში, თევთიქ-ფაშას ბაასი ჰქონია ედუარდ გრეისთან. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს უთქვამს ოსმალეთის ელჩისთვის:

—ოსმალეთმა არ უნდა დაუჯეროს ავსტრიის რჩევას და არც მისი იმედით იხელმძღვანელოს, რადგან ასეთ მდგომარეობას დამღუპველი მნიშვნელობა ექნება ოსმალეთისთვის. როგორც ოსმალეთისა, ისე ევროპის ინტერესები მოითხოვენ, რომ ზავი მალე მოხდეს. საერთაშორისო კონფლიქტის დროს—ხაზგასმით სთქვა მინისტრმა—ინგლისი იძულებული იქნება მხარი დაუჭიროს რუსეთის მოთხოვნილებას სრუტეებში სამხედრო ფლოტის გატარების შესახებ.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ

### 20 ნოემბერი.

**ბუხარესტი.** დეპუტატთა პალატაში არჩეულია: 66 კონსერვატორი, 83 დემოკრატი, 38 ლიბერალი, 4 უპარტიო; სენატში არჩეულია: 43 კონსერვატორი, 44 დემოკრატი, 24 ლიბერალი.

### რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** საოლქო სასამართლომ ერთი თვის ციხე გადაუწყვიტა წიგნი „სიმართლე პორტ არტურის თაობაზე“ ავტორს.

**რიგა.** დასრულდა გაფიცვა 14 სტამბაში.

**პეტერბურგი.** მოხდა საუწყებათაშორისო კომისიის მეორე სხდომა საექიმო-სასანიტარო კანონმდებლობის განსახილველად.

**ეკატერინოდარი.** სამხედრო სასამართლოში დაიწყო ყაჩაღთა ბრბოს საქმის გარჩევა: მოწვეულია 111 მოწმე. საქმის გარჩევა ერთ კვირას გასტანს.

# რუსეთი

### საზონოვის გამოსვლა სახელმწიფო სათათბიროში.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებიან, გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი აპირებს სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლას გარეშე პოლიტიკის საკითხის გამო საზოგადოდ, და კერძოდ ბალკანეთის საქმეების გამო. საზონოვის გამოსვლას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ჯერ ერთი დააკმაყოფილებს სურვილს სახელმწიფო სათათბიროსას და მისცემს საშუალებას გამოსთქვას თანაგრძნობა ბალკანეთის სახელმწიფოებისადმი, მეორე, საზონოვს ჰსურს შეასწოროს თავის მოქმედების ზოგიერთი შეცდომა. საზონოვის გამოსვლის საკითხი უკვე განიხილა მინისტრთა საბჭომ, მაგრამ საბოლოოდ არ გადუწყვეტია. სანამ მეოთხე სათათბიროს ვინაობა ნათლად არ იქნება გამორკვეული და ფრაქციათა დანაწილება არ მოხდება, მანამდის ეს საკითხი მინისტთა საბჭოში საბოლოოდ არ გადასწყდება.

## თეატრი და ხელოვნება

**ნაძალადევის თეატრი.** კვირას, 18 ნოემბერს წარმოადგინეს „პატარა კახი" ისტ. დრ. აკაკისა.

ბ. გიორგაძემ, თუმცა ცოტა ჩქარობდა, თითქმის სრულიად უნაკლულოდ შეასრულა როლი. ჯერ კიდევ გამოუცდელის, მაგრამ სამშობლოს განთავისუფლების იდეიით გამსჭვალულ, პატარა კახისა.

მშვენივრად ასრულებდნენ თავის როლებს: ბ.ბ. გოგაშვილი (მწყემსი) სვანაძე (გელა) და სადულიშვილი (გივი).

ძალიან სუსტობდნენ: გაბინაშვილი (მეფე თეიმურაზ), გოგაშვილისა (დედოფალი) და შავშიშვილი (ბაადურ-კუტი).

ქ. კავთელი (ტურფა), ბ.ბ. კუდუხაშვილი (რევაზ) და თევზაძე (თედო) თავის ალაგას იყვნენ. მუშების სცენა ძალიან ცუდად ჩაატარეს. ხალხი წარმოდგენას ბევრი დაესწრო, მაგრამ ბოლო რიგებში წესიერება ხშირად ირღვეოდა. დროა გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ გვარ უწესოებას და თვითვე ნუ დაარღვევს მყუდროებას ხშირის რევიზიის გაკეთებით.

შენიშვნები რეჟისორს: პირველ მოქმედებაში სცენაზე მშვენიერი ტახტი იყო გამართული, მაშინ როდესაც, პიესის ძალით, ტურფაც და გელაც რამე ქვას ეძებენ თავის მისადებად—ეს ერთი, მეორე—პიესის მეოთხე მოქმედების პირველი სცენა სასახლის წინ არსებობს და არა შიგ სასახლეში, როგორც რეჟისორს მოეწყო.

სცენარიუსი ძალიან ცუდად ასრულებდა თავის თანამდებობას.

**მიშო.**

## წერილი რედ. მიმართ

ამით ვაცხადებ, რომ სავსებით ვეთანხმები და ვუერთდები „სახალხო გაზეთის" მე-748 ნომერში დაბეჭდილ გიორგი ლასხიშვილის წერილის აზრს.

**სამ. ფირცხალავა.**

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ნ. კურდღელაშვილი.**


## განცხადებანი

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს
ფერდ. მიულჰენსი
კოლონფი 30 კაპ. ✦ პარფიუმერია № 4711
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.



Метцль 309266 309286
1434.

## ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. 3121

## ექიმ ნაგასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

დ ი ლ ი თ:

„606" — 11—12 ს. შეშხაპუნებაა კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნაგასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასართოვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მუელინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საზებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**მ. გ. აველტიხიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნ გასარდიანი.**

## საგურთალოზე
(ჩანიშვილის სახ.)
— ი ხ ს ნ ე ბ ა —

## აფთიაქის საწყობი,

**სადაც მოიპოვება ყოველგვარი ნივთები.**

იქვე იმყოფება **ექიმი და ფერშალი.** ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე 11½ ს. 1 ს.-დე.

## ვეძებ ადგილს

მეეზოვისას, ნოქრისას, ტრამვაის ლიანდაგის დამსუფთავებლისა", საავადმყოფო მოსამსახურისას და ყოველგვარ შავ სამუშაოს, ხელოსნობის გარდა. უადგილოდა ვარ დარჩენილი და სარჩენი მყავს ულუკმაპურო ცოლშვილი,

**ჩემი მისამართი: მერა,** რაკეტის მისახვევი, № 17.

818. **ნიკო გოგიაშვილი.**

## ცინკოგრაფია

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა** კარვასლის უბანშია
## კლიშეების დამზადებისათვის

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

**23 ფასიანი ნივთი 3 მან. 45 კ.**





1) კაცის ლამაზი, მკვიდრი ჯიბის საათი „**ანკერი**" (ცილინდრი არ არის), ინგლისური. ფოლადისა, 15 ქვითა, და „**ხრონომეტრით**" იმართება 36 საათში ერთხელ. შემოწმებულია ზედ-მიწევნით, ერთს წუთამდე. 8 წლის თავდებობა. 2) ორ-რიგიანი ლამაზი ძეწკვი. 3) ბრელოკი — კინემატოგრაფი საინტერესო სანახაობით ან კომპასი. 4) ზამშის ბუდე საათისათვის, რომელსაც გოფუჭებისაგან იფარავს. 5) მშვენიერი ბეჭედი „**დუბლე**" პარიზულ ქვებით. 6—9) ჯიბის სატუალეტო ნესესერი ოთხი საინტერესო ნივთით. 10) საათის დამცველი ქურდებისაგან. 11) პარიზული „პლასტოგრაფი", რომელიც ბევრნაირ სანახაობას აჩვენებს, 12—17) ამისათვის 6 მეტად საინტერესო სურათი. 18) ჯიბის ნიკელის საწერი მოწყობილება. 19) ლამაზი დავერცხლილი საწუმწუმე. 20) ინგლისის ფოლადისაგან გაკეთებული ჯიბის დ საკეცი მაკრატელი. 21) საოჯახო სტამბა 100-მდე ასოთი და ციფრით თვით საბეჭდავად. 22) სრული მოწყობილობა სტამბისათვის. 23) ახალი მოდის ტყავის პორტმანი 6 განყოფილებით; ძალიან პტყელია და ჯიბეში ადვილი სატარებელი. ფასი მთელი გარნიტურისა **3 მ. 45 კ.** ორი გარნიტურისა—**6 მ. 45 კ.** ფასი ასეთივე გარნიტურისა უმაღლეს ხარისხის ნივთებით პრტყელი საათით **4 მ. 45 კ.** ფასი ორი გარნიტურისა **8 მ. 45 კ.** დახურული საათი ან ქალის საათი ყველა თავისი მოწყობილობით 1 მ. მეტი. გადაგზავნა **40 კ.**, ციმბირში **75 კ.** ფასდადებით იგზავნება უბეოდ. უფასოდ 8 მანეთად ღირებული საინტერესო პრემია.

**ადრესი:** Т ву „Патентъ", варшава, Св. Креста № 48, отд. 73.
Метцль. 61378. 1594

## მოითხოვეთ სწორი და მკვიდრი საათი!

**სხვა იაფ ფასიან საათებს ნუ გამოუდგებით!**
**კარგსაათს ყოველთვის შერჩება თავისი ღირებულება.**
**✦ პარიზის უკანასკნელი ახალი ამბავი! ✦**



**საათი „ხრონომეტრი"-ს სისტემისა 5 მ. 25 კ.**

200 მანეთიან ოქროს საათის მაგიერი, გირჩევთ „**ხრონომეტრს**", რომელიც მოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროსას არ ჩამოუვარდება. „ხრონომეტრის" ლითონის კარგი ღირსებისაა და მის გამძლეობაზე 10 წლის თავდებობას ვკისრულობთ, რადგანაც ელექტრონის საშუალებით მისი სახურავი დაფარულია 14% კარანტ. ოქროს სქელ სევადით. ეს საათი ნამდვილი შვეიცარიულია ახალი ოქროსი, კაცებისა თუ ქალებისა ხუფიანი სამ სქელ სახურავიანი, იმართება თავის ბულით 40 საათში ერთხელ, მუშაობს წკრიალით, 15 ქვიანი, პრტყელი, როგორც სურათზე მოსჩანს, ძალიან გავრცელებულია და მთელ ევროპაში მოდებული. საათის ფასი 5 მ. 25 კ. 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ფასები ნაკლები დავადეთ, რადგანაც გვინდა ყველას შევაძლებინოთ მი'ი შეძენა. გასაგზავნი, ბაჟიანად,—40 კ., (ციმბირში—75 კ.) ყოველ საათს უფასოდ ვაყოლებთ მოხდენილ ნამდვილ ახალ ოქროს ძეწკვს სურვილისამებრ ორკეცს, ბრელოკით და ზამშის საათის ბუდით. საათს წუთი-წუთზე შესწორებულს ვგზავნით 6 წ. თავდებ., ფასდადებ. და უბეოდ.

| | |
|---|---|
| Берлинъ 35 Berlin | I. STRUMFELD Klosterstr. № 42. |

მისამართი შეიძლება ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ ღია წერილს ან კონვერტს. საათის დაბარება ყველა ენაზე შეიძლება. დახურ. წერილს 10 კ. მარკა სჭირდება, ღია წერილს კი 4 კ.
მეტცლ. № 57911. 1579

## ძმ. საფარიანცი და ტერ-საakოვი
## პარიზული მაღაზია

გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

მაღაზიასთან არსებულ

## სამაგალითო სამკერვალოში განაზღდა შესაკვეთის მიღება

რუსეთისა და საზღვარგარეთის ქარხნების საუკეთესო მასალებისა.

თავისუფალი არჩევანი შეკვეთილ სამუშაოსი, როგორც

**კაცებისა აგრედვე ქალების მოდელებისა.**

სრულის პატივისცემით

**ძმ. საფარიანცი და ტერ-საakოვი.**

ტელეფონი № 258. 1525


# განცხადება

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ხსენებული ბანკი, წესდების მე-14 §-ის ძალით, აცხადებს, რომ ბანკის სადგომში, ტფილისს (ფრეილინის ქუჩა, ქართველ თავადაზნაურთა სახლი, № 11), **საჯაროდ გაიყიდება** ქვემოდ აღნიშნულ პირთა ის უძრავი მამულები, რომელიც ამ ბანკშია დაგირავებული, რადგან პატრონთ არ შემოუტანიათ ბანკის წესდების 12, 17, 27, 28 და 37 §-ით დაწესებული გადასახადები 1912 წლის 1-ლ ივლისიდან 1913 წლის 1 იანვრამდე.

საჯარო ვაჭრობა მოხდება: 1) ქალაქის მამულებისა, რომელიც ქალაქ ტფილისშია და რომელზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული ამა წლის **18 დეკემბერს**, 1912 წელს; 2) რომელიც სხვა ქალაქებშია, აგრედვე სხვა ადგილებში, სადაც მამულები გირავდება გრძლ-ვადით, როგორც ქალაქის მამულები—**20 დეკემბერს**, 1912 წელს; 3) სოფლის მამულებისა, რომელზედაც გაცემულია როგორც გრძელ ვადიანი, ისე მოკლე ვადიანი სესხი და აგრედვე ქალაქის მამულებისა—ამა წლის **22 დეკემბერს.**

თუ აღნიშნულ დღეებში ვაჭრობა არ მოხდა, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-20 §-ის ძალით მოხდება იმავე გამგეობაში **8 იანვარს** 1913 წელს, ვაჭრობა ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით, დაიწყება თავნი ვალის იმ დარჩენილ თანხიდან, რომელიც ქვემოდ არის აღნიშნული ბანკის დარჩენილგადასახადისა და აგრედვე სახელმწიფო, საეროპო და საქალაქო გადასახადებისა და მათ ნედოიმკების დამატებით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ვისაც ჰსურს შეისყიდოს ის მამულები, რომელზედაც გრძელ ვადიანი სესხია გაცემული, აგრედვე ის მოკლე ვადიანი სესხი, რომლის ვალის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, მოვალეა წარმოადგინოს ნაღდ ფულად ბე; ბე იმდენი უნდა იქმნას, რამდენიც ბანკის გადასახადების ნედოიმკაა, აგრედვე რამდენიც სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადების ნედოიმკები იქმნება ვაჭრობის დღემდე გასასყიდ მამულზე. ხოლო ვისაც იმ მამულების შესყიდვა ჰსურს, რომელზედაც მოკლე ვადიანი სესხია გაცემული და რომლების თავნის ვალის გადახდის ვადა უკვე დადგა, მოვალეა წარმოადგინოს ბეღ, გარდა ზემო აღნიშნულისა, კიდევ 10 პროცენტი თავდაპირველის თავნი ვალისა.

დამტკიცების ხარჯი და ის ზედ-მეტი ფული, რომელიც ვაჭრობაზე შეაძლიეს ბანკს, მყიდველმაცუნდა წარმოადგინოს 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

თავნი ვალი იმ მამულებისა, რომლებზედაც გრძელ ვადიანი სესხია გაცემული, აგრედვე იმ მამულებზე, რომელთა გირავნობითაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი და ვადაც არ გასულია, მყიდველს შეუძლიან თავის თავზე გადაიტანოს წინანდელ პატრონის ყველა ვალდებულებით; ხოლო იმ მამულებისა, რომელზედაც მოკლე ვადიანი სესხია გაცემული და ვადა უკვე გაუთავდა, დანარჩენი თავნი ვალი სრულიად უნდა იქმნას გადახდილი ნაღდ ფულად 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის შემდეგ.

ბანკის წესდების 15 §-ის ძალით, პატრონს შეუძლიან შემოიტანოს ნედოიმკები ვაჭრობის დღემდე და ამრიგად გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან გაიცნოს ყველა საქმე სასყიდ მამულების შესახებ ბანკის კანცელარიაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა. ამასთანავე ბანკის გამგეობა წინდაწინვე უცხადებს მამულების მყიდველთ, რომ ბანკი პასუხს არ აგებს, თუ დაგირავებულ გასასყიდ მამულების აღწერა არ ეთანხმება მამულების დღევანდელ მდგომარეობას.

## 1 ქ ა ლ ა ქ ი ს მ ა მ უ ლ ე ბ ი.

რომელთა გირავნობითაც გაცემულია გრძელ ვადიანი სესხი

(საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 1912 წელს 18 დეკემბერს).

## ტფილისის გუბერნიის ქ. ტფილისში

**აბაშიძე-საფაროვისა,** მარიამ მიხეილის ასული, სახლი და მიწა ზომით 53½ ოთხ-კუთხი საჟ.. 1 უბანში, მატერიალნი ქუჩაზე.

**აბოევი,** გევორქ ივანეს ძე, ნაჭერი მიწისა, ზომით 1966 ოთხ-კუთხ. საჟ., მე-7 უბანში, კახეთის ქუჩაზე.